

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის
შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - სოლომონ სარია

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს წევრი

კომისიის (კომისიების) დასახელება-

1. იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია

2. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია

ფრაქციის დასახელება _ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- წალენჯიხის N68 საარჩევნო ოლქი,

პროპორციული.

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 21

საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 15

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 24

კომისიის სხდომებზე დასწრება - 24

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 10

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 10

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ;

- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის

შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების

შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 20 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 650

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

წყალსადენის სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია; საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გარე განათებისა და სანიაღვრე არხების მონტაჟი; ავარიული შენობების დემონტაჟი; სოციალური და ჯანდაცვის საკითხების მოგვარება, სახლდამწვარი ოჯახებისათვის დაფინანსების გაზრდა, დასაქმება, ინტერნეტიზაცია; გაზიფიცირება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა აქტიურად ვარ ჩართული როგორც საკრებულოს კომისიებისა (იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიები) და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს მუშაობაში.

შევსების თარიღი-19.11.2020 წ.

წარდგენის თარიღი _19.11.2020 წ.

ხელმოწერა - ს. სანი